საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/11

ქ. ბათუმი 01 თებერვალი, 2021 წ.

2020-2021 სასწავლო წელს ბსუ-ში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის გოჩა სურგულაძის 2021 წლის 22 იანვრის N19664 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2020-2021 სასწავლო წელს ბსუ-ში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ვადების განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს თითოეული დარგობრივი დეპარტამენტების მიერ არაუმეტეს 10 პრიორიტეტული საკონფერენციო საკითხის (თემატიკის) განსაზღვრა (სამსახურებრივი ბარათი დეკანის ვიზირებით წარედგინება ბსუ-ს რექტორს) – **2021 წლის 5 თებერვალი;**

ბ) დარგობრივი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო საკითხების სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ სტუდენტურ პორტალზე განთავსება (რეგისტრაცია ელექტრონულად: Portal.bsu.edu.ge-ზე) – **2021 წლის 6 თებერვალი;**

გ) სტუდენტთა მიერ სამეცნიერო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დარეგისტრირება სტუდენტურ პორტალზე - **2020 წლის 7 თებერვლიდან 2021 წლის 7 მარტის ჩათვლით;**

დ) სტუდენტთა მიერ **სამეცნიერო ნაშრომის, ნაშრომის ორიგინალობის (პლაგიატის არარსებობის შესახებ)** და სამეცნიერო ხელმძღვანელის **წერილობითი დასკვნის (წინამდებარე წესთა შესაბამისობის შესახებ)** განთავსება/დარეგისტრირება სტუდენტურ პორტალზე - **2021 წლის 8 მარტიდან 2021 წლის 30 მაისის ჩათვლით;**

ე) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ სტუდენტურ პორტალზე განთავსებული სტუდენტთა ნაშრომების

ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად მიწოდება შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებისათვის - **2021 წლის 31 მაისი;**

ვ) სამეცნიერო ნაშრომების შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტების მიერ (სამეცნიერო ნაშრომების შეფასების I ეტაპი - კონფერენციაზე წარდგენის შემთხვევაში საერთო შეფასების **3/5**-ის (30 ქულის) ფარგლებში) – **2021 წლის 1 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით;**

ზ) დარგობრივი დეპარტამენტების მიერ შეფასებული ნაშრომების (თითოეული დარგობრივი დეპარტამენტიდან არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 ნაშრომის) შესახებ ინფორმაციის (მინიჭებული ქულების მითითებით) ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა - **2021 წლის 11 ივნისი;**

თ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით დარგობრივი დეპარტამენტებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება და დარგობრივი მიმართულებების მიხედვით არაუმეტეს 10 საუკეთესი ნაშრომის გამოვლენა (შეირჩევა ის ნაშრომები, რომელთაც დარგობრივი დეპარტამენტის 3-წევრიანი კომისიის შეფასების მიხედვით მიღებული აქვთ არანაკლებ 16 ქულა. საუკეთესო ნაშრომები შეირჩევა რიგითობით ზემოდან ქვემოთ, 30-დან 16 ქულამდე) - **2021 წლის 12 ივნისი;**

ი) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ, ,,ბსუ-ში სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N02 გადაწყვეტილებისა" და ბსუ-ს რექტორის წინამდებარე ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, კონფერენციის პროგრამის შედგენა და განთავსება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტუდენტურ პორტალზე. პროგრამაში უნდა მიეთითოს თითოეული სექციის მუშაობის დრო და ადგილი **(სექცია იქმნება** სამეცნიერო დარგის/მიმართულების მიხედვით, თუ წარმოდგენილია მინიმუმ 5 სამეცნიერო ნაშრომი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომი დარეგისტრირდება მომიჯნავე სამეცნიერო დარგის სექციაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში) – **2021 წლის 14 ივნისი;**

კ) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის კოორდინირებული მუშაობით კონფერენციის **საორგანიზაციო კომიტეტისა** და კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტის პროექტის მომზადება და წარდგენა - **2021 წლის 15 ივნისი;**

ლ) კონფერენციის გამართვა, კონფერენციაზე საჯაროდ წარმოდგენილი ნაშრომების შესაბამისი კომისიის მიერ შეფასება და კომისიის ოქმის ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა - **2021 წლის 18-19 ივნისი ;**

მ) კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემფასებელი კომისიის ოქმის საფუძველზე სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ კონფერენციის მონაწილე სტუდენტების დაჯილდოების

შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა. – **2020 წლის 22-23 ივნისი.**

2. დაევალოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,კონკურსები", სტუდენტური პროექტებისა და სამართლებრივი აქტების ველში).

3. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს (თ. სირაძე, ნ. წიკლაშვილი), ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, იურიდიულ დეპარტამენტსა და სასწავლო პროცესის დეპარტამენტს.

4. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს რექტორის მოადგილემ ნათელა წიკლაშვილმა.

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ.N30)

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**